საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

ადამიანური კაპიტალის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

www.sab.ge

ქვეყნის ცხოვრების დონესა და ეკონომიკურ ზრდას მისი მწარმოებლურობა (ერთ სამუშაო საათში წარმოებული საქონელი და მომსახურება) განაპირობებს. მწარმოებლურობის განმსაზღვრელ ოთხ დეტერმინანტს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანური კაპიტალია. ადამიანური კაპიტალი ესაა ცოდნა და უნარი, რომელსაც პიროვნება განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით იძენს. ადამიანური კაპიტალი ზრდის ქვეყნის უნარს აწარმოოს საქონელი და მომსახურება. შესაბამისად, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მეტი განათლებული და გამოცდილი მოქალაქის ყოლა, რათა გაიზარდოს ქვეყნის მწარმოებლურობა და გაუმჯობესდეს მისი ცხოვრების დონე.

როგორ გამოიყურება სამუშაო ძალა საქართველოში? განმარტების თანახმად, სამუშაო ძალა წარმოადგენს დასაქმებულთა და უმუშევართა ერთობლიობას. საქსტატის 2017 წლის მონაცემების მიხედვით, ქვეყნის 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 65.8% მონაწილეობს სამუშაო ძალაში, ანუ ეკონომიკურად აქტიურია, ვინაიდან მუშაობს ან სურს მუშაობა (აქტიურად ეძებს სამსახურს). რაც შეეხება დანარჩენ 34.2%-ს, მათ ან არ სურთ მუშაობა, რადგან არ არსებობს ამის საჭიროება, ან არ ეძებენ სამსახურს, ვინაიდან პოვნის იმედი გადაეწურათ.

საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი არც ისე დაბალია, ვინაიდან მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, ეკონომიკურად აქტიურობის დონე მთელ მსოფლიოში საშუალოდ 61.9%-ია (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მაჩვენებელი საქართველოში 65.8%-ის შეადგენს).

გრაფიკი 1. 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება (ათასი კაცი)



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება ზოგადად 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის დინამიკას, როგორც გრაფიკი 1-დან ჩანს, იგი კლების ტენდენციით ხასიათდება. კლება ნაწილობრივ გამოწვეულია შობადობის შემცირებით 1995-2002 წლებში (შობადობის საშუალო ყოველწლიური კლების ტემპი 3%-ს შეადგენდა), ნაწილობრივ მოსახლეობის დაბერების ტენდენციით (2010-2017 წლებში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში საშუალოდ 14.3%-ს შეადგენს და ყოველწლიურად საშუალოდ 0.4%-ით იზრდება), ნაწილობრივ კი მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით (2002 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, ქვეყნიდან გასულია დაახლოებით 1.4 მილიონი ადამიანი). აღსანიშნავია, რომ 2008 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში დაბადებულთა რაოდენობა აჭარბებს გარდაცვლილთა რაოდენობას, და რომ არა ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოში უნდა გაზრდილიყო. მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ოთხი ქვეყანა, სადაც მოსახლეობა მცირდება არა ბუნებრივი მატების შემცირების, არამედ ემიგრაციის ხარჯზე. ეს ქვეყნებია: ალბანეთი, საქართველო, პუერტო რიკო და ესპანეთი.

ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი კიდევ უფრო ამწვავებს მოსახლეობის დაბერების მაჩვენებელს. 1994 წელს ქვეყანაში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 10.5%-ს შეადგენდა, ხოლო 2017 წლისთვის კი 4.1%-ული პუნქტით გაიზარდა და 14.6% შეადგინა, რაზეც მეტყველებს საქართველოს სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდაც, რომელსაც პირამიდის ფორმა ნაკლებად აქვს, რამდენადაც დიდია ჩავარდნა 10-24 წლის მოსახლეობის რაოდენობაში, ხოლო 75-79 წლის მოსახლეობის რიცხოვნობა აღემატება 70-74 წლის მოსახლეობის რაოდენობას (იხ. გრაფიკი 2). ქვეყანაში არსებული 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში განსაკუთრებით მაღალია მსოფლიოში არსებულ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც 2017 წლის მდგომარეობით 8.7%-ს შეადგენს .

გრაფიკი 2. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება მიგრაციას, გარდა იმისა, რომ ემიგრაციის შედეგად მცირდება ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნება, ემიგრაციას თან ახლავს კვალიფიციური კადრების გადინება, რაც ამცირებს ქვეყნის მწარმოებლურობას და კიდევ უფრო აუარესებს ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

როგორი ადამიანური რესურსის მატარებლები არიან საქართველოდან წასული ემიგრანტები? საქსტატის შინამეურნეობათა გამოკვლევის 2017 წლის მონაცემების თანახმად, 2017 წლის მდგომარეობით საზღვარგარეთ წასულთა დაახლოებით 20% ფლობს ბაკალავრის ან მაგისტრატურის/რეზიდენტურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომს (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, იგივე მაჩვენებელი ქვეყანაში დარჩენილი მოქალაქეებისთვის 27%-ია). ანუ საზღვარგარეთ წასულთა თითქმის მეხუთედი, წარმოადგენს სამუშაო ძალის იმ ნაწილს, რომელიც მაღალი ადამიანური რესურსით ხასიათდება და რომელსაც შეეძლო საკუთარი წვლილი შეეტანა ქვეყნის მწარმოებლურობის ზრდაში.

გარდა განათლების მიღწეული დონისა, მნიშვნელოვანია ასევე ემიგრანტთა ასაკი, რამდენადაც ასაკი განაპირობებს მომუშავის ფიზიკურ სიძლიერეს, ცოდნის მიღების პოტენციალს და ბაზრისთვის ახალი სამუშაო ძალის მიწოდების (შობადობის) უნარს. საქსტატის მონაცემების თანახმად, ემიგრანტთა საშუალოდ 66% 40 წლამდე ასაკისაა. კაც ემიგრანტთა საშუალოდ 80%, ხოლო ქალ ემიგრანტთა საშუალოდ 68% იმყოფება 40 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყნიდან გადის შრომისუნარიანი და რეპროდუქციული მუშახელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციული სალდო (იმიგრანტებს გამოკლებული ემიგრანტები) ბოლო წლების განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუმცა განსხვავება ემიგრანტებისა და იმიგრანტების რიცხოვნობას შორის კვლავაც მაღალია და იმიგრირებული სამუშაო ძალა, არ ახდენს ემიგრირებული სამუშაო ძალის ჩანაცვლებას. ამასთან, 2015 წელს ჩატარებული „The Survey of Labour Market Demand Component“ კვლევის თანახმად, საქართველოში დასაქმებულ უცხოელთა 20% წარმოადგენს საბაზო კვალიფიკაციის არმქონე მშენებელ მუშაკებს, 20% წარმოადგენს ავტომობილის მექანიკოსებს, 7% სატვირთოების მძღოლებს და მხოლოდ 11% მუშაობს მენეჯერისა და დირექტორის პოზიციაზე. შესაბამისად, მაღალი კვალიფიკაციის მქონე იმიგრანტები როგორც რაოდენობრივად, ასევე პროცენტულად წარმოადგენენ მცირე რაოდენობას და ვერ უზრუნველყოფენ ქვეყნიდან გასული მაღალ უნარიანი კადრების ჩანაცვლებას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამუშაო ძალის შემცირების დინამიკა, გამოწვეული შობადობის დაბალი მაჩვენებლით, დაბერების გაზრდილი წილითა და მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით, მწვავე პრობლემაა ქვეყნისათვის. შობადობა 1995-2002 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 3%-ით მცირდებოდა, რამაც დღეისათვის შეამცირა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ჩართული უნდა ყოფილიყო ეკონომიკურ საქმიანობაში. ყოველწლიურად იზრდება ემიგრანტთა რაოდენობა. 2002 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, ქვეყნიდან გასულია დაახლოებით 1.4 მილიონი ადამიანი, რომელთა დაახლოებით 20% ფლობს ბაკალავრის ან მაგისტრატურის/რეზიდენტურის უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამის დიპლომს, ხასიათდება მაღალი ადამიანური რესურსით და რომელთაც შეეძლოთ საკუთარი წვლილი შეეტანათ ქვეყნის მწარმოებლურობის ზრდაში. შემცირებული შობადობა და გაზრდილი მიგრაციის მაჩვენებელი, კიდევ უფრო ამწვავებს დაბერების მაჩვენებელს, რამდენადაც, იწვევს ისედაც შემცირებულ სამუშაო ძალაში, 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის წილის ზრდას. ყოველივე ერთად აღებული კი ქვეყნისთვის დიდ გამოწვევაა და მსგავსი ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში ქვეყნის მწარმოებლურობა და შესაბამისად ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო შენელდება, რომ არაფერი ვთქვათ მწვავე დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების მოსაგვარებლად არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები“ მიიჩნევს, რომ აუცილებელია:

- ქვეყანაში შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ასპარეზზე;
- ყურადღება გამახვილდეს მაღალპროდუქტიულ სექტორებზე;
- წახალისდეს სასწავლებლად წასული ახალგაზრდების ქვეყანაში დაბრუნება;
- გაუმჯობესდეს არსებული განათლების სისტემა;
- წახალისდეს პროფესიული განათლება;
- ამაღლდეს არსებული კადრების კვალიფიკაცია, ვინაიდან, როდესაც სამუშაო ძალა მცირდება, ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია არსებული სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდა.

www.sab.ge